

საქართველო


საქართველო
საქართველო

საერთაშორისო გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 28 ივლისი 1998 №129 (664) ფასი 40 თეთრი

სტალინი კარგი კაცია

კობა
ინასარიძე

ბირანადან



ვაის გაეყვარა და ვუის შეეყვარა — ტირანის ავტორიტეტიმდე თქვა მურთაზ ზურცილავამ. მართლაც, აქ ტირანაში თბილისისა არ იყოს ძალიან, ძალიან ცხელა. ტემპერატურამ, როგორც აქაურმა კოლეგამ მითხრა, ლამისა 40 გრადუსს მიაღწიოს. „დინამო“ გუნდის, თბილისურად 8 საათზე ჩამოფრინდა ალბანეთის დედაქალაქს ზეგნისგან გათავისუფლებულ სოფელს უჭირდათ, მით უმეტეს, რომ სასტუმრო „დავითში“ არც კონდინციონერია, არც გაგრილების რაიმე სხვა საშუალება, ცივი შხაპის გარდა. დინამოელთა სასტუმრო ტირანის ცენტრშია, სწორედ იმ ადგილიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით, სადაც 1991 წლამდე სტალინის უმჯობესი, 45 მეტრის ტიპის ძველი წამოყვანილი ალბანელი კომუნისტები, სხვათა შორის, ტირანაში ყოფნის პირველ ორ საათშივე არაერთხელ გავირუსული სიტყვები, რომელიც ქართულადაც ასე ითარგმნება — სტალინი კარგი კაცი იყო. როგორც თქვეს აქაური ბავშვების უმეტესობამაც კი ძალიან კარგად იცის ვინ იყო იოსებ ბესარიონის ძე ავროპორტიდან, სადაც სულ კინკლა ადგილობრივი თვითმფრინავი იდგა, ტირანამდე მიმავალ გზაზე, თითქმის ყველა კერძო სახლის წინ ბუნკერის მსგავსი რამაა, თურმე 50-იან წლებში, როცა ზრუნოვით სტალინის გინებას მიღება, აქაურებს უფიქრათ, ემანდ ნიკიტა ბატონმა ჩვენც ცერად არ შემოგვხვდეს და ალბანეთში მასობრივი რეპრესიები თუ დაიწყა, ამ ბუნკერების მეშვეობით ეგებ ცოცხლები გადავრჩეთო. „დავითში“ როცა აღმინისტრატორს ვე-

ბასებოდი, ერთი აქაური კოლეგა გამომეცნაურა. საქართველოში როგორ აღიქვას „ვლადიმერ“ რომ უფრო დასაჯაო, მკითხა. ძალიან კარგად, მეთქი, ვუპასუხე. კაცს იერი ეცვალა. სხვალინდელი მატჩის პროვოკაციის შემთხვევაში, „დინამო“ 3:0 მოიგებს, მეტოქე, განუცხადებ. ამაზე მთლად აფეთქდა, თუმცა ბოლოს კი დაამატა თქვენ მართლაც ძლიერები ხართ და „ატლანტიკიდან“ შეხვედრა „დინამოზე“ ალაღობა. ისიც დავიცა, ყველაფერი მწვრთნელ დედის ბრალია, რას ათამაშებდა იმ ოხერ №14-სო.

ახლა „დინამოზე“. გუნდი ტირანას სრული შემადგენლობით ეწევა. ყველა ჯანსაღი, კარგ ხასიათზე და იმედოვნებენ, აქაურ სამოს შავ დღეს აყრიან. ზურცილავა ცვლილებებს აპირებს თბილისურ მატჩთან შედარებით. ჭიკჭიკების უცარმა გადაწყვეტილებამ დაცვაში პრობლემები შეგვიქმნა — თქვა მწვრთნელმა.

„ქემალი სტაფას“ სტალინი, სადაც მატჩი უნდა გაიმართოს, სასტუმროდან სულ ხუთი წუთის საგაზაფხულო ჩვენებამ გუნდს დილას თბილისში ივარჯიშეს და ზურცილავამ აქ ჩამოსვლის დღეს ბიჭები დაასვენა. „დინამო“ დღეს ხუთ საათზე დააჯანსაღებებს ალბანურ სტადიონს, ზედა კი აქაურად ექვსზე სამოსს დაუპირისპირდება.

მეტი ახალი და ცინიკალი არაფერია. პო, მართლაც, ტირანამდე გზად ბელგრადში შევიარეთ. ფოთის „კოლხეთი“ იქვე დარჩა „ცრვენა ზეზდასთან“ საპასუხოდ გასაჯიბრებლად. ფოთელები კარგ ხასიათზე იყვნენ, არაფერზე წერვილობდნენ, სოლოფილამ სამი თავდასხმელით კი ვითამაშებთ, მაგრამ ფორვარდები რას გააკეთებენ აღარ ვიცო, თქვა. „კოლხეთს“ მიქაბერიძე, სუხიაშვილი და კრასოვსკი აკლდათ, თუმცა არა მგონია ამით კოლხებს ბევრი დააკლდეთ, 4:0-ის ბელგრადში გაბათილება ხომ ჩვენებურთაათვის შეუძლებელია.

და კიდევ, კვირას დინამოელი დავით მუჯირი დაქორწინდა, საქმე მისალოცად აქვს, მაგრამ გუნდს უკვე ტირანაში იყო.

ასა მშვენიერი, ასა სახიფათო


ფოთში ფეხბურთის მოსახლეობისთვის
მეორე საერთაშორისო შეხვედრა
მეორე მთავრობა შეიქმნა

მშვენიერი ხალხი, გადასარევი ადგილი — ამას ამბობდა ნებისმიერი

უცხოელი ნებისმიერ ვითარებაში, გნებავთ,

ოფიციალურად ანუ ინტერვიუსას, გნებავთ, ლუდ „ყაზბეგის“ ბოთლით ხელში. ამბობდნენ ბუნებრივად, ყოველგვარი ქედმაღლური მოწყალების გარეშე.

იხილეთ მეშვიდე გვერდი



საღმრთაო სიღნის ბილეთი აიღო

ბარსელონაში დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონატი ტყეის სროლაში. კატალონიის დედაქალაქში ჩვენი სპორტსმენებიდან ყველაზე უკეთ თბილისური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე გამოვიდა. სპორტული პისტოლეტით ასპარეზობაში ნინო ფინალში მეხუთე შედეგით შევიდა საბოლოოდ კი მეოთხე ადგილი დაიკავა. ამ შე-


დეგით იგი პრიზიორი ვერ გახდა, მაგრამ სამაგიეროდ, ქართველ სპორტსმენთაგან 2000 წლის სიღნის ოლიმპიადის ლიცენზია პირველმა მოიპოვა. ამასთან, მან მსოფლიო თასის ფინალში მონაწილეობის უფლება დაიბეჭდა. ჩვენი ნაკრების კიდევ ორი წევრი — ნინო უჩაძე და დარეჯან ლუმაბაძე ბევრად მოკ-

რძალვულ შედეგს დასჯერდა. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები მე-12 იყო. იქვე გუნდშივე ასპარეზობა დაიწყო მე-სტრუქტურულმა, რომელთა შორის არიან საქართველოს მსოფლიო ფეხბურთის პრეზიდენტი თამაზ იმინაშვილი და დავით ქვიათაძე. იქნებ მათაც გაავსახრობონ.

ირაკლი თამაძე

ქართველები ბამბარჯვებებს იხსენებენ

ვახტანგ ბალაგაძის სახელობის თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე ქართველმა ფალანგებმა ოთხი ოქროს, ხუთი ვერცხლის, ორი ბრინჯაოს მედალი და გუნდური პირველობა მოიპოვეს



ვახტანგ ბალაგაძე და მისი სახელობის თასის მფლობელი ალექსანდრე კახიანიშვილი

ნახეს და... წააგეს

„ბორჯღალოსანთა“ მეორე ცდა ფრანგულ კლუბებთან გაჯიბრებისა, პირველისგან განსხვავებით, წარმატებული გამოდგა. „ბაზილიონ“ მატჩი ქართველმა მორაგებებმა გაუგებრობის გამო ვერ ჩატარეს. მეორე შეხვედრაში კი ჩვენებურთა მეტოქე „ბარბონა“ იყო. ეს ორთაბრძოლა შაბათს, 25 ივლისს გაიმართა და მასპინძელთა გამარჯვებით 55:27 დასრულდა. ამ მატჩში „ბორჯღალოსანების“ შემადგენლობა და აქედან გამომდინარე, ქართველთათვის 27 ქულის მომტანთა ვინაობა ჩვენთვის უცნობია. ბოლო, მესამე შეხვედრას ჩვენი ნაკრები ხვალ გამართავს „ტულუზთან“.

მარინალათა აღლუმი

სტუდენტთა ახალგაზრდული გუნდი ამ დღეს მარცხისთვის იყო განწყობილი. საჯარიმო დარტყმები ხომ არ წაუვიდათ, ელემენტარულ ტექნიკურსა თუ ტექნიკურ ნაკლსაც ზნობად ამხურობდნენ, რისთვისაც მწვრთნელისგან საყვედურებსაც იღებდნენ, ვარჯიშებზე ტყეზილად გასწავლით. ამ ფაქტზე ყურადღება იმითმ გაუამახვილე, რომ სხვა მატჩებშიც შეშინებულნი, როგორც ტულუზის თსუს მწვრთნელი დავით კილასონია თავის შევირდებს. უნივერსიტეტებში ვერც მეტოქის ზოგადი შეკრებიან მოუხერხებს რამე და თამაშის ბოლოს სამჯერ მეტოქის სალოლო მოედანზე ისეთი ლელოები ვერ დადეს, გაგიკვირებოდათ. მათ მარაოს გაშლაც უჭირდათ და ვიუტით თხების პრინციპით ბურთიანად მარცხდნენ. მეტოქის შუაგულს ეტანებოდნენ, არადა, შექმნილი ფლანგები უფრო უნარბილად გამოეყენებინათ. მათგან განსხვავებით დინამოელები უფრო ორგანიზებულად გამოიყურებოდნენ და თუ არ უტყვდნენ (თუმცა ის გატანილი საჯარიმოებიც შეტევით გაახერხეს), არც დაცვაში უშვებდნენ შეცდომებს. ამასთან ერთად, მშვენიერად გაისარჯა მათი დამრტყმელი ალექსი აბდუშელიშვილი, რომელმაც ოთხივე საჯარიმო ზუსტად გამოიყენა. სწორედ ეს ორი ფაქტორი გახდა „დინამოს“ გამარჯვების საწინააღმდეგო.

ირაკლი თამაძე

გურამ დოღვენიძე

იხილეთ მეხუთე გვერდი

უეფა აღბანელებმა უეფას ვერდიქტი სააპელაციო კომიტეტში გაასაჩივრეს

პლაჟინია ხაჰსს ეპლაჟება

ხვალ ჩვენი „დინამო“ ტირანიაში შკოდრის „ვლადიკას“ დაუპირისპირდება. ხვალ „დინამომ“ უნდა დაამტკიცოს, რომ თბილისურ მატჩში მიღწეული მინიმალური უპირატესობა ოდენ შემთხვევითობა იყო. ჩვენმა ჩემპიონმა ყველა ეჭვი უნდა გაფანტოს, რათა არავინ წამოგაყვებდეს, ფონს უეფას დახმარებით გახვედითო. ეს ყველაფერი ხვალ უნდა მოხდეს, მანამდე კი „ვლადიკა“ წყალწაღებულივით ხავსს ეჭვდება.

გასულ პარასკევს უეფამ გაითვალისწინა თბილისურ მატჩში სტუმრების დაუდევარი საქციელი, მსაჯთა და კომისიის მოხსენებით ბარათებს დაეკრძა და აღბანელებს 0:3 წაგება ჩაუთვალა.

პარასკევს „ვლადიკას“ წარმომადგენლებმა უეფას სააპელაციო კომიტეტს მიმართეს, სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებამ არ დაგვკამათოფილა, იქნებ თქვენ გვიშველიათო.

აღბანელები გამოუცდლები არიან. სხვაგვარად არ იქნება. მეტი გამოცდილება რომ ჰქონოდათ, ასეც არ მოიტყუოდნენ.

ნენ, ფულს ტყუილად არ დახარჯავდნენ. ყველას მოეხსენება ფიფა-უეფას კონსერვატორულობა. ქვეყანა უნდა დაიქცეს, წყალმა აღმა დენა იწყოს, ამ ორგანიზაციებმა ერთხელ მიღებული გადაწყვეტილება რომ შეცვალონ.

მსგავსი არავით ბოროლი ევროპულ გუნდს მოსურვებია, მათ შორის ფრანგულ პსე-საც, მაგრამ გონს დროზე მოსულან და თავიანთი პრეტენსიები უკან ბოლიშებით წაუღიათ.

უეფა გადაწყვეტილებას არ შეცვლის, ამის თქმის უფლებას იქაური ჩინოვნიკის სიტყვებიც გვაძლევს, რომელიც ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელს გაანდო: — „ვლადიკას“ არაფერი ეშველება. განაჩენის შეცვლის უმნიშვნელო მანისიც არ არსებობს. ისეთი აშკარა იყო დარღვევა, რეაგირება რომ არ მოგვეხდინა, გამოირცხული გახლდათ.

„ვლადიკას“ მაინც იმედი შერჩენია. ცდა ბედის მონახვერეა, თქმულა, მაგრამ აღბანელებს ბედმა თბილისში უშუხილათ.

მამუკა კვანტალიანი

ბოლო დროს თბილისის „დინამოს“ დირექტორტაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია „ბათუმში“ განთავსებული დავით ჭიჭუაშვილის საქციელმა. როგორც მოგეხსენებათ, ეს ფეხბურთელი საქართველოს ჩემპიონს ტაღლიზს საწვრთნელ შეკრებაზე ახლდა და, ფაქტობრივად, გუნდის დაცვის ხაზში ერთ-ერთ საყრდენ ძალად ითვლებოდა. ჭიჭუაშვილი „დინამომ“ უეფაში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო გათამაშებისთვის წარდგენილ განაცხადშიც შეიყვანა. თითქმის ყველაფერი ლოკირდა ვითარებაში, მაგრამ „ვლადიკასთან“ თამაშზე ორი დღით ადრე ფეხბურთელი დიდძალ ბაზიდან გაუჩინარდა და ისევ ბათუმში აღმოჩნდა.

„დინამოს“ აღბანელებთან ჩატარებული მეტად უსასურში მატჩის ერთ-ერთ მიზეზად მართაზ ხურცილავამ ჭიჭუაშვილის არყოფნა დაასახელა, აქაოდა, დაცვის თამაში მასზე იყო აგებული და თანაგუნდელებიც შეთანხმებულნი იყვნენ. ხურცილავამ ამ საქმის სასწრაფოდ მოგვარება მოითხოვა. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს თასის მფლობელებს ჭიჭუაშვილისთვის არანაირი განთავისუფლების ფურცელი არ მიუციათ. გამოდის, რომ უეფაში „დინამოს“ მიერ წარდგენილ განაცხადში დათოს დასახელება ჩვენი

ბათუმი ზღვისპირელები „ოქროს მეგობრებს“ ადვილად არ დათმობენ

ჭიჭუაშვილი ცარცის ნრავი

ფედერაციისა და კლუბის დირექტორატის იურიდიული ლაფსუსია. გუნდში სადამოს ამ საქმეში გასარკვევად დაეკავშირდით ბათუმელთა გუნდის თავადაც შოთა ჭიჭუაშვილს, რომელმაც გაიკვირა თბილისში ამ ამბის გამო ატენილი აჟიოტაჟი და განაცხადა — ვერ გამოვიდა, ეს აურზაური რამ გამოიწვია, ჭიჭუაშვილს 8 აგვისტომდე ჰქონდა კონტრაქტი. იგი ჩვენც გვიჭრდება და, ალბათ, კლუბის მესვეურები მასთან ახალ ხელშეკრულებას გააფორმებენო.

დათოს სალიგო განაცხადის მიუხედავად თასების თასზე თამაშზე შეძლება. ბატონ შოთას ნიკა ტოგონიძის გაწითელარმობაზეც კითხეთ. მწკრივულმა კატეგორიულად უარყო ეს ინფორმაცია. ეროვნული ნაკრებისა და ბათუმელთა გუნდის მეორე კლავ ზღვისპირეთში იმყოფება და თანაგუნდელებთან ერთად ემზადებათ.

გუმწიწი „ბათუმს“ საკონტროლო მატჩი აგრიასთან 3:2 უმარჯვია.

ხშირა სანიძე

უეფა-უეფა

III ტური

სანტ ბალენი 2:0 სიონი
1:0 ს. მიულერი (75), 2:0 კონტინი (90)

სამარეტი 3:2 ლუცერნი
0:1 კოლმანტარაკისი (8), 0:2 კოლოვი (25), 1:2 მ. მიულერი (55), 2:2 რეი (82), 3:2 ლონგანტი (87)

ბაზელ 2:1 ციურიხი
1:0 რიჩოვი (26), 2:0 საპინი (45), 2:1 სანტანა (64)

მსამხმარი 0:0 ბარაუ
ლოზანა 1:0 იანგ ბოისი
1:0 გერბერი (84)

ბრასკოვიჩი 3:2 ლუზანო
პარდოტური. 25 ივლისი. 7200 მაყურებელი

0:1 გასპოზი (18), 1:1 ფოგელი (22), 1:2 გიმენზი (45), 2:2 ნუფო (59), 3:2 ტიკვა (80)

ბრასკოვიჩი: ცუბერბიულერი, მასი, გრენი, სმილანინი, კრისტა, ტიკვა, ფოგელი, ტარაზი (მანინი 64), ყაველაშვილი (მაგარი 84), თურქილ-მაზი (ცანი 90), ნუფო

შაბათს „გრასკოვიჩმა“ ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოიპოვა. ამ დღეს მისი მეტოქე „ლუვანი“ იყო, კლუბი, რომელსაც პირველი ორი ტურის შემდეგ „კალიების“ მსგავსად, ერთი ქულა ჰქონდა. ციურიხელებს კვლავ აქვდათ კომიზეტი, ესპანოზო და ნემსაძე — მათ ტრავმები ვერ მოიშუშეს, თუმცა „გრასკოვიჩს“ შეეძინა თურქილ-მაზი, რომელმაც წინა მატჩები იმავე მიზეზით გამოტოვა.

თამაში „კალიების“ უპირატესობით დაიწყო. უკვე მე-5 წუთზე ნუფოს მართებდა ანგარიშის გახსნა, მაგრამ ხელსაყრელი მდგომარეობიდან ვერ იმარჯვებოდა. მასპინძლები სულ მალე დაი-სახენ — გასპოზმა ნუფოსთან განსხვავებით, შეძლო გოლის გატანა. ხუთ წუთში ანგარიში გათანაბრდა: იმავე წუთს ფოს წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ფოგელმა გამოიყენა. ტაბინი მიწურულს მასპინძელთა არასაიმედოდ გამოჩენა მცველები კვლავ შეცდნენ, რითაც გიმენზმა ისარგებლა და სტუმრები მეორედ დააწინაურა. შესვენების შემდეგ „გრასკოვიჩმა“ შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა, თუმცა არა არბიტრის დაუხმარებლობა. 59-ე წუთზე მსაჯმა თურქილ-მაზის მხრივ წესის აშკარა დარღვევა ვერ შენიშნა, თავდასხმებმა კი ნუფოს ჩააწოდა ბურთი, რომელსაც ანგარიშის გათანაბრება არ გასჭირვებია. მატჩის დასრულებამდე ათი წუთით ადრე კი „კალიებმა“ მესამე გოლიც გაიტანეს — ტიკვას დახმარებით 23 მეტრული დარტყმული ბურთი მოხდა და ასწლებილი კარში შევარდა. „მესვენებისას ბიჭებს აგრესიული თამაში მოეთხოვა, აგუსსინი, რომ შეხვედრის მოსაგებად მეტი თავდადება იყო საჭირო, მეორე ტაბინი კი ყველაფერით თავის ადგილზე დადგა“ — კმაყოფილებას ვერ ფარავდა მატჩის შემდეგ „გრასკოვიჩის“ თავკაცი, როლფ ფრინგერი. რაც შეეძლო ჩვენებურებს, ნემსაძემ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტრავმის გამო კვლავ გამოტოვა შეხვედრა, ყაველაშვილი კი თამაშის მიწურულს შეცვალეს, თუმცა მანამდე თავი არაფრით გამოუჩენია.

გათამაშების ცხრილს კვლავინდებურად „სერვეტი“ ლიდერობს, რომელმაც შინ „ლუცერნთან“ უნებელსი მატჩი მოიგო. მასპინძლები 0:2-საც აგებდნენ, მაგრამ მაინც მოახერხეს 3:2 გამარჯვება.

ბანო ოპრობირიძე

სერვეტი	3	3	0	0	7:4	9
სენტ გალენი	3	2	1	0	7:3	7
ლოზანა	3	1	2	0	5:4	5
სამარეტი	3	1	2	0	2:1	5
ბარაუ	3	1	1	1	7:3	4
ლუცერნი	3	1	1	1	7:7	4
გრასკოვიჩი	3	1	1	1	6:7	4
ბაზელი	3	1	1	1	2:6	4
იანგ ბოისი	3	1	0	2	4:5	3
სიონი	3	0	2	1	1:3	2
ლუვანი	3	0	1	2	4:6	1
ციურიხი	3	0	3	3	3:6	0

საფეხბურთო კლუბი „დინამო“ და ეროვნული სტადიონის დირექტორი ლარსა მჭუხარბიშვილი იუწყებიან, რომ უდროოდ გარდაიცვალა ეროვნული სტადიონის ტექნიკური დირექტორი

ზურაბ ნოზაძე
და სამხმარს უცხადებენ განსვენების ოჯახს

ლემიონი საფრანგეთში, ეგებ, ერთბაშად ორმა ქართველმაც ითამაშოს

სეზამი მონაქლის სერს

გიორგი დარასელიას ფრანგულ „ბორდოში“ გადაბარება არ მოხერხდა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონთა ქვეყანაში, შესაძლებელია, ლიგის ფეხბურთელის მანაც გვყავდეს.

ფრანგულმა „მონაქლიმ“ დიდი ხანია სურვილი გამოთქვა, ახალი სეზონისთვის თავისი კლუბის შემადგენლობაში ქუთაისის „ტორპედოს“ აწ უკვე ყოფილი ნახევარმცველი შალვა ხუჯაძე იხილოს. კლუბის ხელმძღვანელებსა და ფეხბურთელს შორის მოლაპარაკება უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს. ხუჯაძე ამ დღეებში მონაქლიმში უნდა ჩაფრინდეს, რათა კონტრაქტთან დაკავშირებული დეტალები დაახსნას.

ჯინაჟიკი ნახლას ლაიონს

მას შემდეგ, რაც ბელგიურმა „ლომელ-მა“ ინტერეტორის გათამაშებიდან გამოთიშა, ქუთაისის „ტორპედო“ წამყვანი ფეხბურთელებისგან ნელ-ნელა იცლება. ქუთაისური კლუბის ხელმძღვანელები კი ცდილობენ მათ შენარჩუნებას, მაგრამ ჯანაზიას, კვეტენაძის, მეტრეველის, მეგრელაძის, ხუჯაძის, ვაშაძის დარღვევების დატოვების სურვილი პატა ჭინჭარამაც გამოთქვა. ცნობილი გახდა, რომ პატა საგარეულოდ ბელგიისპირეთს ან მსოფლიოს ჩემპიონს ქვეყანას — საფრანგეთს მიაშურებს. თუმცა არც ისაა გამოცხადებული, ჭინჭარაძე ისევ „ტორპედოში“ დარჩეს.

ლემიონი ტყავაძე და ნატროშვილი ბერძნულ „პანასიკოში“ გადაბარდნენ

ბუბა და გოდოლა მებრძოლის ბანაკში

იმ ქვეყნებს, სადაც ქართველი ფეხბურთელები ბურთობენ, ახალი სეზონიდან საბერძნეთიც შეემატება. ელადაში აქამდე მხოლოდ ორს — თემურ ქეცბაიას და დათო კარიაულს უთამაშიათ. საქართველოს 1997 წლის საუკეთესო ფეხბურთელი სწორედ ბერძნული აგა-დან გადავიდა პრემიერლიგის „ნიკასში“, ხოლო კარიაული სალონიკის პაო-ში ირავებოდა.

ახალი სეზონიდან საქართველოს ნაკრების მეტოქე საბერძნეთის ჩემპიონატის პირველ დივიზიონში ორი ქართველი იასპარეხებს, ბოლნისის „სიონიდან“ წასული ბუბა ტყავაძე და კვიროსიდან ჯერ ქუთაისში მობრუნებული, შემდეგ კი „ვიტ

ჯორჯიაში“ ნავარჯიშევი გოდოლი ნატროშვილი. ტყავაძემ და ნატროშვილმა ათინის „პანასიკოთან“ უკვე გააფორმეს კონტრაქტი. ბუბას ბერძნული კლუბის ხელმძღვანელობამ ორწლიანი ხელშეკრულება შესთავაზა, ხოლო ნატროშვილს სამწლიანზე შეუთანხმდა. ამ ტრანსფერის განხორციელებაში ლომის წილი გოდოლი ნატროშვილის კვიროსელმა მენეჯერმა ბაროს კონსტანტინიძისმა დაიდო.

„პანასიკი“ ჩვენებურებს ექვსი თვის მანძილზე აკვირდებოდა. ქართველ ფეხბურთელებს წინასასწავლო ამხანაგურ-საკონტროლო შეხვედრებში გოლი გოლზე გაჰქონდათ და კონტრაქტშიც არ დაყოფნა.

გიორგი მამაძე

პაკეში მზის აბაზანებს ვეღარ მიიღებენ

ძმებმა რეზო, შოთა და არჩილ არველაძეებმა „26 მაისის“ სტადიონისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის აქციონირების სურვილი გამოთქვეს. მათ თავიანთი მოსაზრება წერილობით ქვეყნის პრეზიდენტსაც გაუზიარეს და ამის შესახებ სტადიონის ამჟამინდელ მფლობელ რკინიგზის დეპარტამენტსაც აცნობეს. მათაც თანხმობა განაცხადეს. მოკლედ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, მალე სააქციო საზოგადოებაც ჩამოყალიბდება. ამასთან დაკავშირებით ინტერვიუ ვთხოვეთ საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ბატონ გუგული მაისურაძეს

ცეს. მოკლედ, ყველაფერი უშუალოდ და ინტერესებულ მხარესთან შეხვედრის შემდეგ გადაწყდება.

— **თქვენმა პირობებიც გექნებათ.**

— ჩვენი პირობები უბრალოა — რკინიგზის დეპარტამენტის ინტერესებიც გაითვალისწინო. ჩვენ, რკინიგზელები, ამ ბაზის დაკარგვის წინააღმდეგი ვართ, ესე იგი, არ გვსურს, იგი სამუდამო მფლობელობაში გადავცეთ ვინმეს. მართალია, ეს სტადიონი ჩვენი აშენებული არ არის, მაგრამ წლების განმავლობაში მას ყურადღებას ვაქცევდით, ძირითად სარეზონტო სამუშაოებს ვასრულებდით და საკმაოდ დიდი თანხაც დავიხარჯავს.

— **ესე იგი, მთავანიათ, რომ ორივე მხარეს თანხაბარი უფლებები უნდა გქონდეთ?**

— დიახ, 50-50-ზე.

— **მოსალოდნელი პროცესი, ალბათ, კლუბის კეთილდღეობაზეც იმოქმედებს.**

— რა თქმა უნდა, თუ ყველაფერი გაკეთდა და ჩატარდა ის გრანდიოზული

სამუშაოები, რასაც სტადიონისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის სრული რეკონსტრუქცია ჰქვია. პერსპექტივა ძალიან დიდია. რაც უფრო სრულფასოვან კომპლექსს შევქმნი, მით უფრო სტაბილური იქნება იგი. ყოველივე ეს კლუბსაც წაადგება, თანაც ამით მოზარდი თაობაც დაინტერესდება, აქედან გამომდინარე, კლუბს სრულფასოვანი შევსება ეცოდება. აქვე იმასაც გეტყვით, რომ დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა გვაძლევს საშუალებას, „ლოკომოტივმა“ წლებადღელ ჩემპიონატში სერიოზულ მიზნებზე იფიქროს. ხმამაღალ ნათქვამად არ ჩამოვთხოვ, წლებს გუნდი მზად არის, პირველი ან მეორე ადგილი დაიკავოს ეროვნულ ჩემპიონატში.

— **ბატონო გუგული, თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, არგელაძეებს უშუალოდ კლუბის, „ლოკომოტივის“ ყიდვაც დაუსახებთ მიზნად.**

— ცოტა გაუჭირდებათ. კლუბს როგორ იყიდონ? დამფუძნებლებად ჩვენს გარდა სხვადასხვა ორგანიზაციები და ჯგუფები არიან გაერთიანებული. ასეც რომ არ იყოს, ჩვენ კლუბს არ გავყიდით.

ცხადია, მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ არველაძეებს ესოდენ სასარგებლო საქმის წამოწყება განუზრახავთ. „ლოკომოტივის“ სტადიონის, ამ ერთ დროს მართლაც მშვენიერი სარბილის ალორძინება დიდ სამსახურს გაუწევს მომავალ თაობას. სხვა საქმეა, თუ როგორ და რა ფორმით გაგრძელდება მშენებლის ურთიერთობა რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სტადიონის დირექტორს გივი ჭანტურიძესაც ვესტუმრეთ. ბატონმა გივიმ გვითხრა, რომ ამის შესახებ არაფერი იცის. მან აგრეთვე განაცხადა, რომ ყოველთვის მხარს უჭერდა „26 მაისის“ სტადიონის სააქციო საზოგადოებად გადაკეთების იდეას და არველაძეების გადაწყვეტილებით აღფრთოვანებული დარჩა.

სამიოდე წლის წინ ერთ-ერთ მსხვილ ამერიკულ კომპანიას სტადიონის აქციონირება სურდა, მაგრამ მაშინ ქვეყანაში არსებულმა დაძაბულმა სიტუაციამ ამერიკულ მხარეს ჩანაფიქრზე ხელი ააღებინა. შემდეგ ეს ისრაელის სამხრეთ-დასავლეთის მონიშნა, ისეც არაფერი გამოვიდა. ახლა კი... მოკლედ, ენახოთ, რა იქნება.

ბაბა კვანტალიანი



მართლა ნაკრძალის პერონი?

არგენტინის ნაკრების ნახევარმცველმა, ზუან ვერონმა ხუთშაბათს პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც მან განაცხადა, რომ ყოველივე რასაც მას აბრალებენ, სიტყვაა.

საქმე კი ისაა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ არგენტინული პრესის წარმომადგენლები მეტად საეჭვოდ საუბრობდნენ ვერონზე და მას კოკაინის მიღებაში ადანაშაულებდნენ. გახსოვთ, ალბათ, ჯერ კიდევ საფრანგეთის ტურნირის დაწყებამდე არგენტინის ნაკრებიდან ხმები გაერცეულა, თითქოს სამსოფლიოს ჩემპიონატზე შეგულებულმა ერთ-ერთმა მოთამაშემ დოპინგ-კონტროლის წარმატებით გავლა ვერ შეძლო და აკრძალული პრეპარატების გამოყენება დაუშვავდა.

თუმცა ბუნენოს აირესში ჩატარებული ტესტის შედეგები ნაკრების ექიმმა საიდუმლოდ შეინახა და მსილებული ფეხბურთელის გვარი არავის გაანდო. აქედან მოყოლებული, არგენტინის ნაკრების არაკეთილმოსურნეები გაფაციცებით აღევნებდნენ თვალს ჩემპიონატის ყოველი მატჩის შემდეგ მოთამაშეთა დოპინგ-კონტროლის შედეგებს. ერთი პირობა იმასაც ამბობდნენ, ორ სამხრეთამერიკელ ფეხბურთელს სამედიცინო ტესტი ჩაუფლავდა და აკრძალული პრეპარატების ხმარება დაუდგინდათ. მაგრამ ფიფას წარმომადგენლებმა 2 ივლისს გაერცელებულ ინფორმაციაში ეს სტორი უარყვეს.

აქედან პრესის წარმომადგენლებს უმსგავსო საქციელით აღშფოთებულმა ვერონმა, რომელიც სულ ახლახან იტალიური „სამპდორიიდან“ 20-მილიონიანი კონტრაქტის საფუძველზე „პარმაში“ გადაბარგდა, არც ერთ-ერთ რადიოში მისვლა დაიხარა, საიდანაც მიიღო არგენტინის გასაგონად კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჩემპიონატის წინ მისმა დოპინგ-ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა და მის მიერ კოკაინის მიღების ფაქტი მხოლოდ ფეხბურთისა და თავად ზუანის მტრებმა შეითხინეს.

მათ ჩემი განადგურება სურთ. მშვენივრად ვიცი, რომ ბევრს ჩემი კარგი თამაში გულზე არ ეხატება. ის კი არა, დასანახადაც ვერ მიტანენ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საფრანგეთში პრესის წარმომადგენლებთან მეტად უსიამოვნო შეტაკებები გადავიტანე — აცხადებს ვერონი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე თავისი ნაკრების შემადგენლობაში ხუთივე მატჩში იასპარეზა და არგენტინელთა ერთ-ერთი ლიდერიც გახლდათ.

არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ხულო გრონდონამ ვერონის ირგვლივ შექმნილი სიტუაციის კომპენტირებისგან თავი შეიკავა. — ის ტესტი, რომელმაც ამდენი აურზაური გამოიწვია, ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ჩატარდა და რომელიმე ფეხბურთელს



ზუან ვერონი

შედეგები რომც ჩაფლავდნენ, იგი საფრანგეთში ვერ მოხვდებოდა. თუმცა კონკრეტულ პასუხს ვერაფერზე გაცემით. ნათლად მასსოვს, რომ ყველა მოთამაშემ, მათ შორის ზუან ვერონმა დოპინგ-კონტროლი წარმატებით გაიარეს, მაგრამ ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ის არის, რომ ყოველგვარი კომენტარის გაკეთება აკრძალული მაქვს — ეს გრონდონას სიტყვები გახლავთ.

თავად ვერონი, პრეზიდენტისგან განსხვავებით, უფრო გულგრილად საუბრობდა.

— ის წყველი არგენტინელი ჟურნალისტი კარგა ხანია, ვერ მიტანს. ჩემდამი ზნედი ჯერ კიდევ მაშინ გამოხატა, როდესაც ბუნენოს აირესის „ბოკა ხუნიოსში“ ვიამაშობდი. ყველაფრის თავი და თავი კი დიეგო მარადონა. კარგად მოგეხსენებათ, იმ პერიოდში ბოკაში სწორედ დიეგოსთან ერთად გამოვდიოდი და მასთან მეტად თბილი, მეგობრული ურთიერთობა მქონდა. ვფიქრობ, სწორედ ამან გამოიწვია ჩემდამი ასეთი დამოკიდებულება, მარადონასაც ზომ ჩემსავე ნარკოტიკების ხმარებას სწამებდნენ. ყოველივე ეს სიბინძურეა, რომელსაც, ვცდილობ, ყურადღება არ მივაქციო, რადგან ჩემს სიმარტულეს ყველა ადასტურებს, თავად არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია და ნაკრების ექიმებიც კი — განაცხადა ვერონმა.

გენგარი ინგლისის მოგზაურობა რუსს

ინგლისის შარშანდელი ჩემპიონისა და თასის მფლობელის ლონდონის „არსენალის“ ფრანგმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა კვირას, გაზეთ „ექსპრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ალბიონზე ამ ბოლო დროს უცხოელ ფეხბურთელების კატასტროფული მიმდინარეობა ბრძანებებს მეტად საჭირო რჩევებს აძლევს.

თავისი სიმართლის დასამტკიცებლად არსენმა მაგალითად საფრანგეთის ჩემპიონატი დაასახელა. — თუ საფრანგეთში ბოლო 30 წლის მანძილზე შექმნილი სიტუაციის თვალს გადავავლებთ, ნათლად დავინახავთ, რომ ამ ქვეყნის ნაკრების წევრანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვება შემთხვევითი სულაც არ ყოფილა. პირიქით, ფრანგები პირველობისკენ მიზანდასახულად, მეთოდურად მიდიოდნენ. აბა, გაიხსენეთ ევროპისა თუ მსოფლიოს დონის რამდენი საბავშვო თუ მოზარდთა ტურნირის ფინალში გასულან მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ფრანგი ბიჭუნები? დავეთანხმებით, ეს გზა უარესად ძნელი იყო, მაგრამ საბოლოოდ შედეგი მაინც მოიტანა.

ყველაფერი კი ეროვნული ჩემპიონატიდან დაიწყო. იქ ასეთი საფრანგეთის მხოლოდ ის საუკეთესო ფეხბურთელები ტოვებენ, რომელთაც ევროპის წამყვან გუნდებში თამაშისა და ოსტატობის კიდევ უფრო დახვეწის შანსი ეძლევათ. ქვეყანაში კი კლუბებს საშუალება აქვთ, ახალგაზრდა ნიჭიერ თამაშისთან იმუშაონ და საუკეთესო მოთამაშეების არყოფნაში უფრო მეტი მოითხოვონ.

„ექსპრესსმა“ ვენგერთან ინტერვიუს თავისი გამოკვლევების შედეგებიც დაურთო, საიდანაც ჩანს, რომ პრემიერლიგის 20 მონაწილის განაცხადში 220 მოთამაშედან მხოლოდ 103 განხილეს ინგლისელი, ხოლო დანარჩენი 117 ლეგიონერებს წარმოადგენენ. „არსენალის“ მწვრთნელის აზრს პრემიერლიგის რამდენიმე კლუბის ხელმძღვანელმაც უჭერს მხარს. მათ შორის „ჩარლტონ ათლეტიკა“, რომელსაც მომავალში აქცენტის გაკეთება მხოლოდ ინგლისელ ფეხბურთელებზე გადაუწყვეტია.

— ვფიქრობ, ის, რაც დღეს ჩვენს ჩემპიონატში ხდება, ინგლისური ფეხბურთისთვის დამღუპელია და ჩვენ ლეგიონერთა მოზღვაობას წინააღმდეგ გავილაშქრებთ, კლუბს მხოლოდ ადგილობრივი მოთამაშეებით დავაკომპლექტებთ — განაცხადა „ჩარლტონის“ თავმჯდომარემ, რიჩარდ მიურემ.

ირაკლი ხმელიძე

სარგბიელი

სპორტული ლატარია „CROCO“

ჩამავიწოთა ლიზა.

29 ივლისი

სენტ პატრიკი (ირლანდია) — სელტიკი (შოტლანდია)	(—)	4,0	3,0	1,7
გესტანაიარი (ისლანდია) — ობილირი (იუგოსლავია)	(15,0-1,01)	3,6	2,9	1,9
ერეკანი (სომხეთი) — ჰიკი (ფინეთი)	(5,0-1,1)	2,3	2,8	2,9
პალმშტადი (შვედეთი) — ლიტექსი (ბულგარეთი)	(1,9-1,55)	1,5	3,3	6,0
ფლორა (ესტონეთი) — სტაუა (რუმინეთი)	(50,0—)	7,0	3,5	1,4
ქიაფაზი (აზერბაიჯანი) — ლეს (პოლონეთი)	(25,0—)	4,0	3,0	1,8
მარიბორი (სლოვენია) — კარედა (ლიტვა)	(—25,0)	1,3	4,0	7,5
ვლაჟინა (ალბანეთი) — დინამო (საქართველო)	ანგარიში	5,0		
ანორთოსისი (კვიპროსი) — ლა ვალეტა (მალტა)	(—25,0)	1,1	6,0	12,0
უიპეშტი (უნგრეთი) — ზიმბრუ (მოლდოვა)	(1,4-2,3)	1,25	4,4	8,0
ვენესი (ლუქსემბურგი) — გრასპოპერი (შვეიცარია)	(500,0—)	5,0	3,2	1,6
ბარი თაუნი (უელსი) — დინამო (უკრაინა)	(500,0—)	7,5	4,0	1,3
ბრიუგე (ბელგია) — სილექსი (მაკედონია)	(1,1-5,0)	1,1	6,0	12,0
ტორსპავენი (ფარერები) — ბეითარი (ისრაელი)	(25,0—)	4,7	3,0	1,7
კომიცი (სლოვაკეთი) — კლიფტონილი (ჩრდ. ირლანდია)	(—500,0)	1,1	6,0	12,0
დინამო (ბელარუსი) — სკონტო (ლატვია)	(1,25-3,1)	1,5	3,2	5,0

უფასო თასი.

28-29 ივლისი

დინამო (აზერბაიჯანი) — არჯეში (რუმინეთი)	(25,0—)	3,4	2,9	2,0
ცსკა (ბულგარეთი) — ბელშინა (ბელარუსი)	(1,1-5,0)	1,1	6,0	12,0
ლინფილი (ჩრდ. ირლანდია) — ომონია (კვიპროსი)	(15,0-1,01)	2,2	2,9	3,0
ბირკირკარა (მალტა) — შახტიორი (უკრაინა)	(7,5-1,05)	7,5	3,4	1,4
ცრენა ზეზედა (იუგოსლავია) — კოლხეთი (საქართველო)	ანგარიში	5,0		
ტირანა (ალბანეთი) — ინტერი (სლოვაკეთი)	(7,5-1,05)	2,5	2,9	2,5
პოლონია (პოლონეთი) — სადამი (ესტონეთი)	(—25,0)	1,1	6,0	12,0
ვასა (ფინეთი) — ჰაფნარი (ფარერები)	(—)	1,15	5,0	9,0
კილმარნოკი (შოტლანდია) — ფელეზნიარი (ბოსნია)	(1,15-4,0)	1,5	3,4	5,6
ლაუგავა (ლატვია) — მურა (სლოვენია)	(25,0—)	2,5	2,9	2,5
ჟალგირისი (ლიტვა) — აკრანესი (ისლანდია)	(—)	1,6	3,1	5,3
ფინპა (ფინეთი) — ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი)	(5,0-1,1)	2,2	2,9	3,0
მალმო (შვედეთი) — შირაქი (სომხეთი)	(—100,0)	1,05	8,0	14,0
სარაევო (ბოსნია) — ეკერენი (ბელგია)	(25,0—)	2,4	2,8	2,7
რეინჯერსი (შოტლანდია) — შელბურნი (ირლანდია)	(—100,0)	1,2	5,0	9,0
სლოვა (მაკედონია) — ოცელული (რუმინეთი)	(7,5-1,05)	2,0	3,0	3,3
გეტებორგი (შვედეთი) — უნიონი (ლუქსემბურგი)	(—100,0)	1,05	8,0	14,0
პრიწიპატი (ანდორა) — ფერენცვაროში (უნგრეთი)	(500,0—)	12,0	6,0	1,1
ანდერლუხტი (ბელგია) — ტილიგული (მოლდოვა)	(—25,0)	1,15	5,6	10,0
ვისლა (პოლონეთი) — ნიუთაუნი (უელსი)	(1,05-7,5)	1,15	5,6	10,0

მეოცის სუპერთასი მონაკოში

28 ივლისი

რეალი — ჩელსი	(1,6-1,8)	2,3	2,9	2,8
---------------	-----------	-----	-----	-----

რუსეთის ჩამავიწოთა. XVIII ტური

29 ივლისი

როსტოვლში — შინიკი	1,9	2,9	3,6
როტორი — ჩერნომორეცი	1,2	5,0	9,0
ტორპედო — ზენიტი	2,5	2,9	2,5
ცსკა — ლოკომოტივი	4,0	3,0	1,7
სპარტაკი — დინამო	1,5	3,4	5,6
ტიუმენი — ფეშჩინა	6,0	3,8	1,4
ბალტიკა — ალანია	2,5	2,8	2,6
კრილია სოვეტოვი — ურალანი	1,9	2,9	3,6

ავსტრიის ჩამავიწოთა. I ტური

29 ივლისი

შტურმი — აუსტრია	1,5	3,3	6,0
ლინცი — ლუსტენაუ	1,3	4,0	7,5
რაპიდი — ზალცბურგი	1,8	2,9	4,2
შტაირი — გრაცერი	2,5	2,9	2,5
ტიროლი — რიდი	1,5	3,3	6,0

გერმანიის ჩამავიწოთა. II გუნდისლიზა. I ტური

30 ივლისი

ჰანოვერი — კარლსრუე	3,4	2,9	2,0
---------------------	-----	-----	-----

ფსონები მიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა მ-დან 8 საათამდე

თბილისში — კინოთეატრი „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცლების ქუჩის მხრიდან

№2 ცენტრალური ფოსტაში აღმასრულებლის გამზირზე

№67 გლანია I სავაჭრო ცენტრი

(№63 ვარკეთილი I მკერდადონში, „ეროკოს“ ბიურო გაუქმებულია).

ქუთაისში — ბუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიის“ შენობაში

ბათუმში — გორგასლის (ყოფილი ცხაკაის) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან

რუსთაველი — კინოთეატრი „რუსთაველი“, XVI მკერდადონი 2, კოსტავას გამზირი 17.

კოფეციენტების შესაძლო ცვლილებები ავგულზე დაზუსტებული

ქართული გაპარჯებული იქნება

დასაწყისი პირველი გვერდები

ერთ დროს ეს შეგებრი მთელ მსოფლიოში ძალიან პრესტიჟულად ითვლებოდა და მონაწილეთა სიძლიერით ლამის მსოფლიოს ჩემპიონატს უტოლდებოდა. დღეს ყველასათვის გასაგები მიზეზების გამო მისი ავტორიტეტი ვეღარ არის ბევრად მაღალი. ამიტომ იყო, რომ წლებების მსოფლიო ხუთი მეზობელი ქვეყნიდან — ოსეთიდან, დაღესტნიდან, ირანთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან გვეტყუებოდა ფაქტები.

სულ ტურნირში, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ამიერკავკასიის ღია ჩემპიონატი ვუწოდოთ, ექვსი ქვეყნის 110 სპორტსმენი ცდიდა ძალას. კვირა საღამოს ფინალური ორთაბრძოლები გაიმართა და გამარჯვებულებიც გამოვლინდა.

თავდაპირველად ხალიჩაზე 54 კგ წონით კატეგორიაში მოსაპარეზე ქართველი გიორგი იანტბელიძე და ირანელი მუსტაფა პუსეინი უხმეს. ამ სახეობაში ტრადიციულად ძლიერი ქვეყნის წარმომადგენლისა და ჩვენებურის პაქოვს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. სამწუხაროდ, მაყურებლის მხარდაჭერამ გიორგის ვერ უშველა. უფრო ძლიერმა ირანელმა ქულებით მოიგო და ტურნირის პირველი ჩემპიონიც გახდა. ასე დაკარგეთ პირველი ოქროს მედალი. მესამე ადგილი ამ წონაში სომხმა არმენ სიმონიანმა დაიკავა.




ემზარ ბედინიშვილი

მომდევნო — 58 კგ წონით კატეგორიაში წონასთან დაკავშირებული პრობლემების გამო არ ასპარეზობდა აწ უკვე ევროპის ორჯონი ჩემპიონი, გორელი დავით პოლოსიანი და მწვრთნელებმა მის ნაცვლად მისივე თანატოლად მზაცკან არუთინიანი აჭიდავეს. მზაცკანი ფინალში გავიდა, სადაც ირანელ გოჯალ მონამედალს შეერკინა. ისევ ქართულ-ირანული ფინალი და ისევ დაკარგეთ ოქროს მედალი. არუთინიანმა შეხვედრა 0:3 წააგო, მაგრამ ამ ბიჭის მიმართ სასაყვედურო არაფერი გვეტყვის. აკი არც დასცდენია მასზე საუფრო ვინმეს. იქნებ მავანმა იკითხო, თუ ფინალი ასეთი ანგარიშით წააგო, საქმარი რა აქვსო, მაგრამ ვისაც მისი სამოქალაქო სპორტული ბიოგრაფიის შესახებ სმენია, იოლად მი-

ხედება, რატომაც არ დაძაბეს მარცხითვის. 18 წლის ბიჭმა თებერვალში გამართულ საქართველოს პირველობაზე მავი დღე აყარა მოწინააღმდეგეებს. მერე უკვე ნაკრების შემადგენლობაში შეკრებაზე მყოფი, ფიზიკურად გაცილებით ძლიერ მეტოქეებსაც იოლად გაუსწორდა. მას თავი არც იუნორთა ევროპულ პირველობაზე შეურცხვენია. აი, ამიტომ არ საყვედურობენ ამ მეტად პერსპექტიულ ფალავანს, რომელმაც დიბლომა და ვერცხლის მედალით ერთად მეორე პრიზიორისთვის განკუთვნილი 200 დოლარიც მიითვალა. ბრინჯაოს მედალს 100 დოლარით ერთად აზერბაიჯანელი ელმან ასკეროვი დაუფლდა.

63 კგ წონით კატეგორიაში ჩვენს ნაკრებს ფინალში მონაწილე არ ჰყოლია, მაგრამ ეს პაქოვს საქართველოსთან უშუალო კავშირში იყო. საქმე ისაა, რომ აზერბაიჯანელი შამილ ეფენდიევი ცხინვალში დაბადებული-გაზრდილი ზურა მაკოევის დაუპირისპირდა, რომელიც აშკარად თავისი ისტორიული სამშობლოს — ალანის სახელით ასპარეზობდა. როგორც ჩანს, ბიჭურ პოლიტიკას ბევრი მეგობრების შეცვლა არ ძალუძს. ალბათ, ამიტომ იყო, რომ დარბაზში მთელი შეხვედრის მანძილზე მსურველად უქიმავა ზურას და არც ის დაეწეებოდა, რომ იგი წარსულში გამოჩენილი ფალავანს — გიორგი მაკოევის ძმა. თითქოს ზურასაც ფრთხილ შეესხა და მან ერთ-ერთი ულამაზესი ფინალი გავაუტა, რომელიც უფრო მაღალი რანგის ასპარეზობასაც დამსწერებდა. მაკოევმა მეტად ტექნიკურად, შემტვე სტილში იჭიდავა და ერთხელ საუცხოო ქართული კისრული გააკეთა, რაც ჩვენებური საჭიდაო სკოლის უეჭველი გავლენაა. სპეციალისტებს კი ამან უმაღლესი ჭიდაობა გაასჩნა. საბოლოოდ ზურამ 8:0 მოიგო და გასახლეში შესულმა ბევრი ნაცნობები ჯერ კიდევ არდავიწყებული, გამართული ქართულით გულანად მოიკითხა.

ამ წონაში მესამე საპრიზო ადგილი ირანელმა თეიმურ მუდელმა მოიპოვა. ქართველ ქომავებს პირველი სისარული 69 კგ წონის ფინალში მოუტანა, რომელშიც ერთმანეთს ემზარ ბედინიშვილი და ირანელი ალირზა კარიზი შეხვედნენ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ირანელები განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდნენ და ვინძლო ემზარსაც სხვა მეტოქე ერჩინა, მაგრამ როცა გასახლეში „ზურდებოდა“, თავდაჯერება შეგატყვევდა არადა, ორი თვის უვარჯიშობელი იყო — ერთ-ერთ ვარჯიშზე იგი თანაგუნდელს მენჯის ძვალზე თავით დაუჯახა და ტვინის შერყევაც მიიღო. ემზარმა ვარჯიშში ტურნირის დაწყებამდე ორი დღით ადრე განაახლა და ამის



გიორგი ჩიხრაძე

მიუხედავად იმდენად კარგად იჭიდავა, რომ აქეთ მაყურებელი აღაფრთოვანა, იქეთ კი ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზაზა თურმანიძეს ათქმევინა, მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს მაძიებელთა შორის იგულისხმე.

ემზარმა შანსი არ დაუტოვა მეტოქეს. ჯერ იყო და დასაწყისშივე ფეხებიდან აიყვანა, კარგადაც დაატრიალა და 5:0 დაწინაურდა. ამის შემდეგ კარიზს პასიურობისთვის ჩოქბეგნიც აკიდა და ერთი ორქულიანი ბრუნით აქედან გაუკეთა, ბოლოს ლამაზი გდებაც ჩაუტარა და ანგარიში 10:0 გახდა. ეს კი სუფთა მოგება ნიშნავს და მსაჯეებმაც ვადაზე ადრე შეწყვიტეს ბრძოლა. მოკლედ, ბედინიშვილმა იმ დღეს სპორტის სასახლეში პირველად ააფერა ქართული „მრავალფეროვნება“, მესამე ადგილზე კი ოსი ვახოტ გიგოლაიევი გავიდა.

76 კგ-ში წმინდა ქართული ფინალი გაიმართა ალექსანდრე კანიაშვილსა და ტრისტან ბლიაძეს შორის. შეხვედრა დამაბული კი იყო, მაგრამ სანახაობრივად დიდი ვერაფერი ბედნა გამოდგა. თანაც, კანიაშვილმა დიდი უპირატესობით მოიგო — 8:1. ბრინჯაო აზერბაიჯანელმა ელმან ალახვერდიევმა დაიკავა.

ეს წონა გამორჩეული იყო, რადგან სწორედ 76 კგ-ში ჭიდაობდა ვახტანგ ბალაყაძე და მისი სახელობის თასიც ამ წონაში გამარჯვებულისთვის იყო განკუთვნილი. კანიაშვილს თასი თავად ბატონმა ვახტანგმა გადასცა.

ქართული ფინალი ვინაზე მომდევნო, 85 კგ-შიც. გიორგი ჩიხრაძისა და ნიკო ბეგაშვილის დამაბული და უშედეგო ორთაბრძოლის ძირითადი დრო მინიმალური ანგარიში — 1:0 დამთავრდა ჩიხრაძის სასარგებლოდ. დამატებით დროში მან კიდევ სამი ქულა მიი-

თვალა და ჩემპიონიც გახდა. ამ წონაში მესამე ირანელი ალი ქაფარი გახლდათ. დიდი ინტერესი გამოიწვია 97 კგ-ის ფინალშიც ელდარ კურტანიძესა და დაღესტნელ არსენ იბნაზარჯაროვს შორის. ოლიმპიურ ჩემპიონ აუშვეის მოწაფე ლეკისა და ჩვენებურის პაქოვს უაღრესად საინტერესო გამოდგა.

ელდარმა აქტიურად დაიწყო და თავიდან 2 ქულითაც დაწინაურდა, მაგრამ მერე როგორცაღ მოეშვა და მაყურებელიც გვარანად ანერვიულა. ჯერ იყო და საკუთარ ილითზე წამოვიდა და მეტოქე 3:2 დაწინაურდა, შემდეგაც პასიურობა, შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე კი გაილაღა. საბოლოოდ 7:3 მოიგო და ოქროს მედალით ერთად ჩემპიონის საპრიზო 500 დოლარიც მიითვალა. მესამე ადგილი ახალგაზრდა ქართველმა დავით ოთიაშვილმა დაიკავა.

130 კგ-ში ზურაბ ლოლაშვილი ირანელ ნოდერ კაბარს ხვდებოდა. ჩვენებურმა მეტად უნათოდ, დუნედ იჭიდავა და კაბარმა იოლი გამარჯვება მოიპოვა. ჩვენს მთავარი იმედი ალექსანდრე მო-

დებამე მესამე ადგილს დასაჯდა. ფინალის დასაწყისში ქვეყნის მთავარმა მწვრთნელმა ზაზა თურმანიძეს განაცხადა, რომ ირანის მსოფლიოს პირველობაზე გასაგზავნი ნაკრები საბოლოოდ მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილებით დაკომპლექტდება და ორ მოსამზადებელ შეკრებას გაივლის ბორჯომში. ჩემპიონობის პრეტენდენტთა შორის მწვრთნელმა კურტანიძე, პოლოსიანი და ბედინიშვილი დაასახელა.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა იმარჯვა. მეორე ადგილი ირანელები გაივლენ, მესამეზე — აზერბაიჯანელები.

ტურნირის ორგანიზატორებმა კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი ქართული სპორტის ამაგდარი მოღვაწის, მსოფლიო ალექსანდრე ფარულავას დამსახურებას და მას საგანგებო ჯილდო უსახსოვრეს ასევე სამსახურო საჩუქრით დაჯილდოვდა ფილას კომისარი პოლონელი დებოში.

ირაბალი თამაძი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

სპორტის სასახლეში გახტანგ ბალაყაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე წარსულში ცნობილ მრავალ ფალავანს მოჰყარა ერთი თვალის, რომლებიც „ქიდაობის პროფესორის“ პატივსაცემად მობრძანებულიყვნენ და დიდი ინტერესითაც ადევნებდნენ თვალს ხალიჩაზე გამართულ ორთაბრძოლებს, ერთ-ერთი აზრის უზიარებდნენ და იმ დღეებსაც იგონებდნენ, თავიანთი ოსტატობით რომ ატკობდნენ ჭიდაობის გულშემატკივარს. ერთ-ერთ მათგანს, უახლოესი წლების ბექდაუდებულ ფალავანს, ბარსელონის ოლიმპიადისა და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის ლერი ხაბელოვის ტურნირის დამთავრებისთანავე გასაქანი აღარ მიეცემა და სასაუბროდაც მოვიხელთეთ

ლერი ხაბელოვი ქართულ სპორტს უბრუნდება

— დიდი ხანია, საქართველოში აღარ ჩანართ.

— ამჟამად ვლადიკავკაზში ვმოღვაწეობ, იქ საკუთარი ბიზნესი მაქვს, თუმცა საქართველოსთან კონტაქტები არ გამიწყვეტია და შემოღობილდაგვარად ვცდილობ, ხშირად ჩამოვიდე თბილისში.

— როგორც ჩანს, ვლადიკავკაზში სამუდამო სამკვიდრებლად აგირჩევიან.

— არა, არა, სამუდამოდ იქ დარჩენას ნამდვილად არ ვაპირებ, სერიოზულად ვფიქრობ, თბილისში ჩამოვიდე და საქმეს მოვკიდო ხელი. მინდა ჩემი უნარი და გამოცდილება ქართული სპორტის აღორძინებას მოვანდარო.

— ეს მხოლოდ სურვილია თუ უკვე კონკრეტული საქმეც გამოიგონეთ?

— წინასწარ არ მინდა ვილაპარაკო, ისე კი გეტყვით, კონკრეტული წინადადებებიც არის და როცა ყველაფერს ნათელი მოეფენება, „სარბიელს“ აუცილებლად შეგატყობინებ.

— თქვენ ბრწყინვალე კარიერა გახტანგ ბალაყაძის სახელობის ტურნირიდან იღებთ სათავეს და ბევრჯერაც მოგვიგიათ ერთდროს პრესტიჟული ეს შეჯიბრება.

— 17 წლის ვიყავი, 1985 წელს პირველად სპორტის სასახლის ხალიჩაზე რომ გამოვედი. წარმოიდგინეთ, როგორ ვლელავდი: გადაჭვდილი ტრიბუნები და მსოფლიოში სახელგანთქმული ფალავანები, ბალაყაძის ტურნირი სიძლიერით არაფრით ჩამოუვარდებოდა მსოფლიოს ჩემპიონატს. თავიდანვე უძლიერესი მეტოქე შემხვდა, მაშინდელი საბჭოთა ნაკრების ლიდერი, დიდებული მოჭიდავე ასლან ხადაცევი. ახალგაზრდა ვიყავი, გამოუცდელი, მაგრამ ჯანი მერჩოდა და გამარჯვების სურვილიც დიდი მქონდა, საბოლოოდ მოვახერხე ხადაცევის დამარცხება და ტურნირის ჩემპიონი გახდი. მერე საბჭოთა პირველობაც მოვიგე, ნაკრებშიც დავიბევე ადგილი და იმავე წელს მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალიც დავისაკუთრე.

მას შემდეგ ბევრმა წააღიზიანა, ცნობილი მოვლენების გამო ტურნირის პრესტიჟი დაეცა, ძლიერი ფალავანებიც იშვიათად ჩამოდიან, თუმცა ჭიდაობის ფედერაციის თავკაცებს ტურნირისთვის ძველებური ხიბლის დაბრუნება სწავლიათ. იმედია, ასეც მოხდება. თქვენ როგორ შეაფასებდით წლებადგულ ასპარეზობას?

— თავიდანვე გეტყვით — ჩემს მეგობრებთან, ქართველ მოჭიდავეებთან ერთად, ყოველწლიურად ვეცდები ვახტანგ ბალაყაძის ტურნირს წარსული დიდება დაღებურნი, ამას ნამდვილად იმსახურებს ჭიდაობის ქართული სკოლა და უპირველესად ბატონი ვახტანგი.




ლერი ხაბელოვი

მართალია, წლებადგულ ტურნირზე ბევრი ქვეყნის ფალავანები ვერ ვიხილეთ, მაგრამ საკმაოდ ძლიერი ბიჭები ჩამოიყვანეს ირანელებმა, დაღესტნელებმა, აზერბაიჯანელებმა. ბრძოლებიც საინტერესოდ და უმეღავათოდ მიმდინარეობდა, ლამაზად ჩატარებული შეხვედრებიც ბევრი ვიხილეთ და ლაზათიანად შესრულებული ილეთებიც. ბრწყინვალედ იჭიდავა ელდარ კურტანიძე. თუ რამე განსაკუთრებული არ მოხდა, ამ ბიჭმა სექტემბერში, ირანის მსოფლიოს ჩემპიონატზე აუცილებლად ოქროს მედალი უნდა მოიპოვოს.

— თქვენი თაობის მოჭიდავეებს თუ შეიარაღებით საქართველოს დღევანდელი ნაკრების წევრებს და ვის მისცემდით უპირატესობას?

— მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოს ეროვნულ გუნდში საკმაოდ ძლიერ შემადგენლობას მოუყვია თავი, მაინც ჩემი თაობის ფალავანებს მივანიჭებდი უპირატესობას. საბჭოთა ნაკრებში თითოეულ წონაში სამი-ოთხი ტოლ-მაღოვანი მოჭიდავე აცხადებდა პრეტენზიას, თითოეულ მათგანს თავისუფლად შეეძლო ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების მოგება, მთავარი ნაკრების შემადგენლობაში ადგილის დაკავშირება იყო, ამიტომ კონკურენცია მაღალი იყო, რაც მოდუნების საშუალებას არ გვაძლევდა. ერთიც არის, იმ დროს ვარჯიშისა და სრულფასოვანი მომზადებისათვის იდეალური პირობები იყო შექმნილი, უამრავ ტურნირში ვიღებდით მონაწილეობას. სწორედ ასეთი პირობები აკლიათ დღეს ქართველ ბიჭებს, თორემ მათი თანდაყოლილი ნიჭი და ჭიდაობისადმი უსაზღვრო სიყვარული ვეჭვს არასოდეს იწვევდა.

სოსო კობოჩიშვილი



კურტანიძემ დაღესტნელი არსენაც იოლად დაჭაბნა

ტექნიკური შედეგები	
54 კგ.	
1. მუსტაფა პუსეინი (ირანი)	
2. გიორგი იანტბელიძე (საქართველო)	
3. არმენ სიმონიანი (სომხეთი)	
58 კგ.	
1. გოჯალი მონამედალი (ირანი)	
2. მზაცკან არუთინიანი (საქართველო)	
3. ელმან ასკეროვი (აზერბაიჯანი)	
63 კგ.	
1. ზურაბ მაკოევი (ალანია)	
2. შამილ ეფენდიევი (აზერბაიჯანი)	
3. თეიმურ მუდელი (ირანი)	
69 კგ.	
1. ემზარ ბედინიშვილი (საქართველო)	
2. ალირზა კარიზი (ირანი)	
3. ვახში გიგოლაიევი (ალანია)	
76 კგ.	
1. ალექსანდრე კანიაშვილი (საქართველო)	
2. ტრისტან ბლიაძე (საქართველო)	
3. ელმან ალახვერდიევი (აზერბაიჯანი)	
85 კგ.	
1. გიორგი ჩიხრაძე (საქართველო)	
2. ნიკო ბეგაშვილი (საქართველო)	
3. ალი ქაფარი (ირანი)	
97 კგ.	
1. ელდარ კურტანიძე (საქართველო)	
2. არსენ იბნაზარჯაროვი (დაღესტანი)	
3. დავით ოთიაშვილი (საქართველო)	
130 კგ.	
1. ნოდერ კაბარი (ირანი)	
2. ზურაბ ლოლაშვილი (საქართველო)	
3. ლექსო მოდებამე (საქართველო)	

ფორმულა 1
X მთავარი
ავსტრიის
დიდი პრიზი



მიკა შუმახერი
დაიბადა 1968 წლის 28 სექტემბერს გერმანიაში. ცხოვრობს მონაკოში.
სიმაღლე 179 სმ. წონა 72 კგ.
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1991 წ. აშშ-ის დიდი პრიზი „ლოტუს-სი“
106 რბოლა, 6 გამარჯვება, 7 პოლუი, 6 საუკეთესო წრე, 184 ქულა

ავსტრიის გრან პრის ფორმულა 1 ჩემპიონატი მეტად გამწვავებული სიტუაციით შეგება — სეზონის დასაწყისში უძლეველად მიჩნეული „მაკლარენები“ იტალიურმა „ფერარიმ“ ბოლო სამ რბოლაში დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც დაჩაგრეს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა კი მიკა შაქინენთან 22-ქულიანი ჩამორჩენა 2-მდე შეამცირა და რბოლის დაწყებამდე იმუქრებოდა კიდევ მიხაელს ვერ გზავდა, ამჯერად პირველი პოლიუ და ზედიზედ მეოთხე ეტაპი რატომ არ უნდა მოეცო.

კვალიფიკაცია ძალიან მოულოდნელად წარიმართა, უფრო სწორად, ნახევრად წარიმართა, რადგან ამისთვის გამოყოფილი ერთი საათიდან 28 წუთი უკლებლივ ყველა მრბოლმა ბოქსებში გაატარა და ტრასაზე გამოსვლაც კი არავის უცდია — ავსტრიაში თავსება წვიმა მოდიოდა და ყველა გამოდარებას ელოდა. პირველი ხეირიანი შედეგი მძებმა შუმახერებმა უჩვენეს, თუმცა ტრასის მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა და ერთბაშად რამდენიმე პილოტმა სწ-

გაუფრთხილდით სხვირს!

რაფი წრეც განვლო. სეზონის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე საუკეთესო დრო მიკა შაქინენმა უჩვენა, თუმცა თითქმის ბოლო მომენტში ჟან ალენიმ გამოიჩინა თავი და ერთი შეხედვით ზაუბერს თავისი არსებობის ისტორიაში პირველი პოლიუც გაუნაღდა.

დროის ამოწურვას მხოლოდ 13 წამი უკლდა, როდესაც ზაუბერელთა სიხარულს იტალიელმა ჯანკარლო ფიზიკელმა მოულო ბოლო — უკანასკნელი წრე 25 წლის „ბენეტონის“ პილოტმა შესანიშნავად გაიარა, ფრანგის შედეგი 0,7 წამზე მეტით გაუმჯობესა და კარიერაში პირველად მოიპოვა რბოლის პირველ ადგილზე დაწყების უფლება: „თავიდან ვფიქრობდი, ჩემთვის და ბრიჯსტონის საბურავებისთვის ძალიან სველი ტრასაა-მეთქი, თანაც ორჯერ მოუსრიადლი, მაგრამ ბოლოს გზა მშვენიერ მდგომარეობაში იყო. ახლა ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, ხვალ იწვიმებს თუ არა.“

წვიმის იმედი ჰქონდა რბოლისთვის მეორე ადგილზე გასულ ჟან ალენისაც (ზაუბერისთვის ესეც საუკეთესო შედეგი გამოდგება ისტორიაში), აქაური მაყურებლისთვის ცუდი კი იქნება, მაგრამ ჩვენთვის და ტელევიზორთან მსხლმთათვის ამას არაფერი აჯობებსო. ასე რომ, სეზონში პირველად მოხდა, რომ წინა რიგში არც ერთი „მაკლარენი“ არ აღმოჩნდა.

კვირას, ალენის სამწუხაროდ, შესანიშნავი ამინდი იდგა და პატარა გუნდებსაც თავის გამოჩენის ნაკლები შანსი შერჩათ. სტარტი ყველაზე უკეთ მიკა

შაქინენმა აიღო, რომელმაც ფიზიკელსაც და ალენისაც აუარა გვერდი და პირველ მოსახვევში პირველი შევარდა. შუმახერი მესამე იყო, თუმცა რბოლა პირველივე წრეზე პეის-კარმა შეანელა — ერთ-ერთ მოსახვევში რამდენიმე პილოტმა ადგილი ვერ გაიყო და მიკა სალომ კვალიფიკაციის შედეგად უჩვეულო, მეთოთხმეტე ადგილზე მყოფ კულპარდს ცხვირი წააცალა. შოტლანდიელმა პეის-კარის გამოსვლით ისარგებლა და სასწრაფოდ ბოქსებს მიაკითხა, რბოლის განახლების შემდეგ კი სწრაფად დაიწყო დაწინაურება.

ამასობაში პირველი ადგილისთვის შაქინენსა და შუმახერს შორის მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობდა. საქმე ის იყო, რომ „მაკლარენი“ ერთი პიტ-სტოპით აპირებდა ასპარეზობას, „ფერარი“ — ორით, ამიტომ გერმანელ პილოტს ფინიშის ჩამოტოვება და ზედმეტი შეჩერებით დასაყრდენი წამების ანაზღაურება სჭირდებოდა. შაქინენი მეტოქის შეტევების მოგერიებას დიდი ვაი-ვაგლახით ახერხებდა, სანამ მე-17 წრეზე შუმახერს გადამწყვეტი შეცდომა არ დაუშვა — მარჯვენა მოსახვევში მანქანა ვერ დაიმორჩილა, ქვიშებში გაისივინა, ერთი პაერში შეიკუნტრუნა და „ცხვირიც“ იქვე დატოვა. შესამჩნევად შენელებულმა გერმანელმა პილოტმა იმავე წრეზე ბოქსებს მიაკითხა, თუმცა თან ძალიან დიდი დრო დაკარგა და ტრასას მე-16 ადგილზე დაუბრუნდა.

22-ე წრეზე კიდევ ერთი ინციდენტი მოხდა: ჟან ალენი ბოქსებიდან გამოსული ფიზიკელს გასწრება მოიწადი-

ნა, მოსახვევში წინ გადაუდგა, იტალიელმაც არაფერი დათმო და იმ დროისთვის მეორე-მესამე ადგილზე მყოფი ორივე პილოტისთვის რბოლაც დასრულდა. მალე ირვინმაც ბოქსებს მიაკითხა და პირველ-მეორე ადგილზე წლის დასაწყისისთვის ტრადიციული დუეტი — შაქინენი-კულპარდი აღმოჩნდა.

ამასობაში კი მიხაელ შუმახერი თავისი პოზიციების გაუმჯობესებას აგრძელებდა — მეორე პიტ-სტოპისთვის მან ორი მსოფლიოს ჩემპიონის, დიმიტრი პილისა და ჟაკ ვილნევის ჩამოტოვება მოასწრო და უკვე მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა, თუმცა ბოქსებიდან გამოსვლის შემდეგ ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდა. შუმახერს მეხუთე ადგილის ხელახლა დასაყვებად დიდი დრო არ დასჭირვებია, თუმცა კიდევ უფრო წინ წასაწევად და უმცროსი მძის — რაფის გადასასწრებად დიდი ბრძოლის გადგამდა მოუწია: პატარა შუმახერი დიდს მთელი ხუთი წრე უძალიანდებოდა და ერთხელ კინაზამ ტრასიდანაც გადააგდო, „ამაში გასაკვირი არაფერია, რაღვი სხვა გუნდში ასპარეზობს, მისი მანქანა საკმაოდ სწრაფი იყო და ჩემთვის გზა რატომ უნდა დავთმო. მთავარი ის არის, რომ იგი წესების დაცვით მოქმედებდა“ — განაცხადა მოგვიანებით მიხაელმა.

როდესაც ოჯახური დაბრკოლების გადალახვის შემდეგ შუმახერის უკან, მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა, უკვე ნათელი იყო, რომ ფერარის მეორე პილოტი თავისი საპოლიუმო პოზიციას გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე მალევე დაკარგავდა. ირვინმაც ნელ-ნელა ტემპს უკლო, ათ წრეში შუმახერთან 15 წამი „წაავ“ და რბოლის დამთავრებამდე ოთხი წრით ადრე ვითომდა გამაღიანებული ირლანდიელის გასწრების შემდეგ გერმანელმა მესამე ადგილზე გადაინაცვლა. მაგრამ რაკია ფორმულა 1-ის თავკაცობამ სეზონის დასაწყისში განაცხადა, მსგავს გუნდურ მანიპულაციებს სასტიკად დაესჯით, ფერარის მიერ შემადგენლობა მოგვიანებით ირწმუნებოდა, ირვინს მუხრუჭებთან დაკავშირებული პრობლემა შეექმნა და ამიტომაც შენედა, რაც, რა თქმა უნდა, არავის დაუჯერებია.


პირველ-მეორე ადგილზე კი საკმაოდ დიდი უპირატესობით „მაკლარენები“ გავიდნენ. მიკა შაქინენმა სეზონში მეხუთე გამარჯვება იხიმა და პოლიუმზე დამარბებული სახით მდგომ შუმახერთან უპირატესობა 8 ქულამდე გაზარდა. აწველაფერი ჩემი სულელური შეცდომის ბრალია. ტრასას გადავცდი და უკვე აღა-

რაფრის გაკეთება აღარ შემიძლია, იმეცა ბოლიდი ისე ძლიერ მაინც არ ამოინდა დაზიანებული ჩრდილოეთით დან მეგონა. არაჩვეულებრივი რბოლა იყო. თუ იმას გავითვალისწინებთ, რაც თავს გადამხდა, ძალიან კმაყოფილი ვარ“ — განაცხადა შუმახერ პრესკონფერენციაზე.

მეხუთე ადგილი და მორიგი ორი ქულა „ჯორდანს“ რაღვ შუმახერმა შესძინა, მეექვსე კი „უილიამსით“ ჟაკ ვილნევი იყო, რომელიც ახალი სეზონიდან თავისი მეგობრის, კრეიგ პოლოის გუნდ „ბრიტიშამერიკენ რეისინგში“ (BAR) გადაინაცვლებს.

ავთანდილ სვანიძე

რბოლის შედეგები	
26 ივლისი. „ალ-რინგი“	
დისტანცია 71 წრე - 304,869 კმ	
1. შაქინენი (მაკლარენ-მერსედესი) 1:30.44,086 (94.666კმ/სთ) 10 ქულა	
2. კულპარდი (მაკლარენ-მერსედესი) ჩამორჩა 5,289 წამით	6
3. შ. შუმახერი (ფერარი)	39,093 4
4. ირვინი (ფერარი)	43,977 3
5. რ. შუმახერი (ჯორდან-მუგენ-პონდა) 50,655	2
6. ვილნევი (უილიამს-მეკაქრომი) 53,292	1
7. პილი (ჯორდან-მუგენ-პონდა) 1:13,624 წუთით	
8. ჰერბერტი (ზაუბერი)	1 წრით
9. ეურტი (ბენეტონ-მეკაქრომი)	1 წრით
10. ტრული (პროსტ-პეო)	1 წრით
11. ნაკარი (მინარდი-ფორდი)	1 წრით
12. როსტრი (ტირელ-ფორდი)	2 წრით
ლიდერები	
1-33 წრე — შაქინენი;	
33-35 — კულპარდი;	
35-71 — შაქინენი;	
რბოლას გამოეთიშნენ	
ვერსტაპენი (სტიუარტ-ფორდი) გაიარა 51 წრე	
ტუერი (მინარდი-ფორდი)	30
ფიზიკელა (ბენეტონ-მეკაქრომი)	21
ალენი (ზაუბერი)	21
ფრენცენი (უილიამს-მეკაქრომი)	16
ბარინელი (სტიუარტ-ფორდი)	8
ლინცი (ეროუსი)	3
სალო (ეროუსი)	1
პარი (პროსტ-პეო)	0
ტაკაჯი (ტირელ-ფორდი)	0



შაქინენ-შუმახერის დუელი

განლაგება სტარტზე

20 რიპსტი 1.34,910 ტირალი	22 ნაპნო 1.34,536 მინარდი
21 ტაპაპი 1.34,090 ტირალი	23 ტუპი 1.33,399 მინარდი
15 პერპერტი 1.33,205 ზაუბერი	6 პერტი 1.33,185 ბენეტონი
12 ტრული 1.32,906 აროსტი	9 პილი 1.32,718 ჯორდან
7 კულპარდი 1.32,399 მაკლარენი	16 ლინი 1.32,206 ეროუსი
19 პერსტაპენი 1.32,099 სტიუარტი	1 პილენი 1.32,083 უილიამსი
11 პენი 1.32,081 აროსტი	10 რ. შუმახერი 1.31,917 ჯორდან
4 ირიპი 1.31,651 შარარი	2 შარენი 1.31,515 უილიამსი
17 სლო 1.31,028 ეროუსი	18 ბარინელი 1.31,005 სტიუარტი
3 შ. შუმახერი 1.30,551 შარარი	8 პაინენი 1.30,517 მაკლარენი
14 პაუპი 1.30,317 ზაუბერი	5 ფიზიკელა 1.29,598 ბენეტონი

	ამსტარლი	მ. მარტი	29 მარტი	არაპენი	12 აპრილი	სან მარინი	26 აპრილი	ესპანეთი	10 მაისი	მონაკო	24 მაისი	კანადა	7 ივნისი	საფრანგეთი	28 ივნისი	დიდი ბრიტანეთი	12 ივლისი	ავსტრია	26 ივლისი	გერმანია	2 აგვისტო, 16:00	უნგრეთი	16 აგვისტო, 16:00	ბელგია	30 აგვისტო, 16:00	იტალია	13 სექტემბერი, 16:00	ლუქსემბურგი	27 სექტემბერი, 16:00	იაპონია	1 ნოემბერი, 08:00	ჯამი
1. შაქინენი (ფინეთი) მაკლარენ-მერსედესი	10	10	6	-	10	10	-	4	6	10																						66
2. შ. შუმახერი (გერმანია) ფერარი	-	4	10	6	4	-	10	10	4																							58
3. კულპარდი (ბრატიანეთი) მაკლარენ-მერსედესი	6	6	1	10	6	-	-	1	-	6																						36
4. ირიპი (ბრატიანეთი) ფერარი	3	-	4	4	-	4	4	6	4	3																						32
5. ურტი (ავსტრია) ბენეტონ-მეკაქრომი	-	3	3	-	3	-	3	2	3	-																						17
6. ფიზიკელა (იტალია) ბენეტონ-მეკაქრომი	-	1	-	-	-	6	6	-	2	-																						15
7. პილენი (კანადა) უილიამს-მეკაქრომი	2	-	-	3	1	2	-	3	-	1																						12
8. ფრანკენი (გერმანია) უილიამს-მეკაქრომი	4	2	-	2	-	-	-	-	-	-																						8
9. ბარინელი (ბრატიანეთი) სტიუარტ-ფორდი	-	-	-	-	2	-	2	-	-	-																						4
10. ალენი (საფრანგეთი) ზაუბერი	-	-	2	1	-	-	-	-	-	-																						3
1. მაკლარენ-მერსედესი	16	16	7	10	16	10	-	5	6	16																						102
2. შარარი	3	4	14	10	4	4	14	16	14	7																						90
3. ბენეტონ-მეკაქრომი	-	4	3	-	3	6	9	2	5	-																						32
4. უილიამს-მეკაქრომი	6	2	-	5	1	2	-	3	-	1																						20
5. სტიუარტი	-	-	-	-	2	-	3	-	-	-																						5

შედეგები: სტარტი ჩემი დროით



ტური და დისკოლინდი

მე-13 ეტაპი. ფრონტინიანიდან ლა პერიად დე კარპანტამდე. 196 კმ.

1. დანიელი ნარდელი (იტალია) — 4:32,46; 2. ვისენტე გარსია (აგოსტა ესპანეთი); 3. ანდრეა ტაფი (იტალია); 4. სტიფან ელო (საფრანგეთი); 5. მარტი ვეიხსონი (აშშ); 6. კუს რენმაუტი (პოლანდია) — ყველა იგივე დრო... 11. ერიკ ცაბელი (გერმანია) +2,51.

მე-14 ეტაპი: ვალრასიდან გრენობლამდე 185,6 კილომეტრი.

ალპების უძიმესი გამოცდის წინა, მეოთხედი ეტაპი წლებგანდელი ტურის ყველაზე გრძელი და ამასთან წარმატებული გატყვევით აღინიშნა — ექვსი მრბოლი პელოტონს სტარტიდან რამდენიმე კილომეტრში გამოეყო და რაკეტა მათში საუკეთესო შედეგის მქონე ლიდერს ნახევარ საათზე მეტით ჩამორჩეოდა, მათ დასაწყევად ჯგეროს თავი მაინცდამაინც არც შეუწყუბებია. საბოლოოდ ფინიშის ხაზამდეც ეს ექვსეული თითქმის ერთდროულად მივიდა, საპურტი კი იტალიელ ჯგუფზე კალკატურასთან დაძაბულ ორთაბრძოლაში ერთ დროს ყვეთელი მისურის პატრონმა ზნა სტიუარტ ოგრიდომ მოიგო. „ჩემოთის ტურ დე ფრანსი დაახლოებით იგივეა, რაც დისნეილენდი ბავშვისთვის. წლებგანდელი რბოლით ძალიან ბედნიერი ვარ“ — განაცხადა 24 წლის ოგრიდომ, რომელიც ოდენ მესამე ავსტრალიელია (ფილ ანდერსონისა და ნილ სტივენსის შემდეგ), ტურის ეტაპი რომ მოუგია.


პელოტონმა ფინიშის ხაზი გატყვეულებზე 10 წუთითა და 5 წამით გვიან გადალახა, თუმცა საერთო ჩათვლაში თითქმის არანაირი ცვლილებები არ მომხდარა. ყვეთელი მისური ისევ იან ულრიხს შერჩა.

მე-14 ეტაპი: 1. ოგრიდი 4:30,53,2; 2. ორლანდო როდრიგესი (პორტუგალია); 3. ლეონ ვან ბონი (პოლანდია); 4. პიტერ ნილსენი (დანია); 5. ლორან დეიბანი (საფრანგეთი); 6. კალკატურა (საბიბილი რბოლასთვის მეორე ადგილი ჩამოართვეს) — 330-ლას იგივე დრო.

საერთო ჩათვლა: 1. ულრიხი — 66:11,51; 2. ბობი ჯულინი (აშშ) +1,11; 3. ლორან ფალაბერი (საფრანგეთი) +3,01; 4. მარკო პანტანი (იტალია) — იგივე დრო; 5. მიქაელ ბუგერდი (პოლანდია) +3,29.

ლუკა ლომგარინი

ბაიბს ოქრო



კეთილი ნების თამაშებზე უკანასკნელი ოლიმპიადებისა და მსოფლიოს ჩემპიონატებისგან განსხვავებით აშშ-ს პროფესიონალები დაკომპლექტებული „ოცნების გუნდი“ არ წარმოადგენდა. მაგრამ მასპინძლებმა, რომელთა რიგებში კოლეჯის 18-21 წლის სტუდენტები თამაშობდნენ, თავისზე გატყვევით უფროს და გამოცდილ მეტოქეს ტოლი არ დაუდეს და მაინც ოქროს მედალი მოიპოვეს.

ფინალურ მატჩში ამერიკელები ავსტრალიელებს ხვდებოდნენ. მწვანე კონტინენტის გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებოდა და რამდენიმე ყოფილი NBA-ს მოთამაშეთაგან იყო გაძლიერებული. ერთმა მოთამაშემ, ექს-მინუსტა ტიმოტე უელსმა შეინიშნა თავისიანებს 38 ქულა შესხდნა, ამათგან 24 სამქულიანებით, მეორე ამერიკაში ფოტობავალიდმა — ენდრიუ გეიზმა 25 ქულა მიითვალა, მაგრამ თამაშებამდე სულ ორი კვირით ადრე შეტრიალმა სტუდენტებმა შესაშური მებრძოლი ხასიათი გამოავლინეს, ძირითადი დროის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე ანგარიში გაათანაბრეს და ოვერტაიმში 93:85 მოიგეს.

გამარჯვებულთაგან ყველაზე მეტი, 18 ქულა ანდრე მილერმა დააგროვა, 15-15 ქულით შერბიაკმა და ელტონ ბრენდმა. „გამოუცდელიობის გამო ჩვენ ფაფორიტად არ მოგვჩანდნენ, მაგრამ ბიჭებმა საკუთარი აბიტიები გვერდი გადარეს და გუნდური სული გამოავლინეს“ — განაცხადა ამერიკელთა მწვრთნელმა კლემ პასკინსმა.

მესამე ადგილისათვის მატჩში ლიტვამ პუერტო რიკას სძლია 88:76.

სოსო ბრძელობა

შტუტგარტი. გერმანია.
„მერსედესის თასი“. თიხნარი.
საპრიზო 1,04 მილიონი \$

მეოთხედფინალი: მარსელო როსი (1, ჩილე) — ბორის ბეკერი (გერმანია) 6:2, 6:0; კაროლ კუერა (5, სლოვაკეთი) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:4, 6:4; კარლოს მოია (2, ესპანეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 3:6, 6:3, 6:2; გუსტავო კუერტენი (13, ბრაზილია) — ალბერტ კოსტა (6, ესპანეთი) 7:5, 6:0.

ორი კვირის წინ ბორის ბეკერმა შვეიცარიის ლია პირველობის ნახევარფინალში მარსელო როსის ორ სეტში კი აჯობა, მაგრამ ის მოგება შტუტგარტში სასტიკად სანანებელი გაუხდა. მსოფლიოს ორი ყოფილი პირველი ჩოგნისგან ისევ თვალსაყრად დუელს ელოდნენ, მაგრამ ბრძოლის ნაცვლად ამჯერად იმაზე ცალკარა თამაში გამოვიდა, ვიდრე თვით ანგარიში — 6:2, 6:0 მიანიშნებს.

როსის შემოვლებული, შემოკლებული თუ აბრაგები სურვილის მიხედვით, ლამის თითოეულ გათამაშებაში გამოსვლიდა და უიმპლინის სამზის ჩემპიონიკ მორიგ აულებელ დარტყმას თვალსაყრად გააყვავებდა. მეორე სეტში მატჩი უკვე ხუმრობაში გადაიზარდა. ჩილეელმა ოჯერზე ზეიდერდ 10-10 გათამაშება მოიგო, ბეკერი კი თითოეულ წარმატებას ღიმილითა და გამარჯვების შეძახილით ხვდებოდა. „მარსელოს ვუთხარი, მინ ვითამაშობ, ჩემიანები მიყურებენ, თავს ნუ მჭირ, ერთი ქულა მაინც მომაგებინე-მეთქი, მაგრამ მან მიპასუხა, ეგ შენით უნდა დაიმსახურო.“

ბეკერს კარიერაში აქამდე ორადჯერ ეგვმა ასეთი მწარე მარცხი — 1:6, 1:6 აშერიკელ ჯეი ბრეგერთან 1989-ში და ისევ 1:6, 1:6 მიხაელ შტეინთან 1992-ში. გერმანელმა თავისი ფასკო ნაწილობრივ წვიმის გამო ძალიან შენელებულ კორტებს დააბრალა, თუმცა როსის საკებრადაც არ დაშურა სიტყვები: „ამჟამად მარსელო მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელად მიმაჩნია და იგი, ალბათ, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში უდიდესი იქნება. რაც შეეხება მის პიროვნულ თვისებებს, სხვების არ ვიცი და მე არანაირი პრეტენზია არ გამაჩნია, ჩვენ კარგად ვუგებთ ერთმანეთს.“

ნახევარფინალი: კუერა — როსი 6:1, 6:7 (8:10), 6:4; კუერტენი — მოია 7:6 (8:6), 6:4.

„მარსელო როსის კლასიფიკაციაში პიტ სამპრასის გადასწრებისთვის და მსოფლიოს პირველი ჩოგნობისთვის ნახევარფინალურ მატჩში გამარჯვებაც ჰყოენიდა, მაგრამ ამერიკელმა მოულოდნელი მოკავშირე თავად ჩილეელმა ჰპოვა. თუ გავიკვირდით, ავიხსენით: ცული ბი-

შედეგების თასი


ნახევარფინალი

მსაბამი 3:2 აშშ

ერთეულები: არანა სანჩეს-ვიკარიო — ლიზა რეიმონდი 6:7 (4:7), 6:3, 6:0; მონიკა სელეში — კონიტა მარტინესი 6:3, 3:6, 6:1; სელეში — სანჩეს-ვიკარიო 6:4, 6:0; მარტინესი — რეიმონდი 7:6 (7:1), 6:4.

წყვილები: სანჩეს-ვიკარიო/მარტინესი — რეიმონდი/მერი-ჯო ფერნანდესი 6:4, 6:7 (5:7), 11:9.

მეტად დასამახსოვრებელი ნახევარფინალური შეხვედრა ერთობ ნერვიულ ატმოსფეროში დაიწყო: შაბათს იგი სა-



ესპანელები გამარჯვებას ზეიმობენ

პაი ფსპნილისგან

ჭის მიჯვის მიუხედავად როსი საკმაოდ სათუთი გამოდგა — შტუტგარტის სამრეცხაოებში გამოყენებული ფხვნილისადმი ალერგია აღმოაჩინა და კუერასთან მატჩის პირველი სეტი ჩოგნის ქნევის ნაცვლად სხეულის სხვადასხვა ნაწილის ქექვას მოანდომა.

ჩილეელმა მეორე სეტის დასაწყისში ჯერ აბები ყლაპა, მერე კი კორტი ნემსის გასაყეთებლად დატოვა, თუმცა სანამ წამალი იმოქმედებდა, ანგარიში



გუსტავო კუერტენი

კატასტროფული გახდა 1:6, 2:5. ჯერ კიდევ მარშან როსი მსგავს მდგომარეობაში ბრძოლას შეეშვებოდა, მაგრამ მას აქეთ კარგა ხანი გავიდა, თანაც მატჩით პირველი ჩოგნობის ბედი წყდებოდა და მარსელომაც ერთი შეხედვით შეუძლებელი შემოდ — ანგარიში გაათანაბრა 5:5, მომდევნო 5 წუთში კი ბეკერის განადგურებით განაწყენებული გერმანელები აღფრთოვანებისგან აღრიცხა და ოვაციებიც მოაწყობინა.

მეტოქის შეცდომების ხარჯზე კუერას ორი მატჩ-პოინტი 6:5-ზე მიეცა, მაგრამ როსმა ბადისა და ცოტაოდენი იღბის დახმარებით ორივე გადაარჩინა. თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისი იყო — ტაი-ბრეიკი ჩია ჩილეელმა ღუნდ, უნტერესოდ დაიწყო, მაგრამ 3:6-ზე, როცა მატჩ-პოინტებზე მიდგა სამქე, ისევ გამოტოვებულა, განსაცვიფრებელი შემოვლებული გააჩერნა და ანგარიში გაათანაბრა — 6:6, მხოლოდ იმიტომ, რომ მომდევნო გათამაშებაში ბურთი ბადეში გაეხვია, მერე კი გამოუვალად სიტუაციიდან ისევ საფირმო ფორქენდი დაესვა ზედ ხაზზე.

სულ როსი 7 მატჩ-პოინტს დაუძვრა და ტაი-ბრეიკიც მოიგო, გერმანელებს სულ „ბრავო“ აძახებინა, თუმცა ამას, ალბათ, მთელი ენერგია და ემოციებიც დაახარჯა: მესამე სეტში უპირატესობა ისევ სლოვაკმა გადაიბარა და სტაბილური, მოსაწყენი თამაშით ბელსაც ეწია. „თითქმის იოლად უნდა მომეგო, მაგრამ

მარსელო რთულ სიტუაციებში არაჩვეულებრივად თამაშობდა. როდესაც მატჩ-პოინტებზე ის საოცარი დარტყმები გამოვიდა, კინაღამ ხელიც ჩავიქნე, ამას რა უნდა მოეხერხებოდა-მეთქი“ — განაცხადა კუერამ მატჩის შემდეგ, როსი კი წაგებას არ დაუნდვლიანებია. „პირველობა ამჯერად ხელიდან გავეშვი, მაგრამ ადრე თუ გვიან მაინც ვერსად წამივა.“

როს-კუერას პირაპტივებში მეორე ნახევარფინალი თითქმის არც არავის გახსენებია, არადა, იქ ბოლო ორი „როსი-გაროსი“ გამარჯვებულები — გუსტავო კუერტენი და კარლოს მოია ხვდებოდნენ ერთმანეთს. ფავორიტად ესპანელი კი ითვლებოდა, მაგრამ „გუსტავო“, როგორც იქნა, აღიდგინა მარშანდელი ფორმა და თავის მეტეიდრეს თიხნარის საათხვერნიანი გაკვეთილი ჩაუტარა 7:6 (8:6), 6:4.

ფინალი: კუერტენი — კუერა 4:6, 6:2, 6:4.

როდესაც 1997-ში ყველაათვის უცნობმა ბრაზილიელმა „გუსტავო“ კუერტენმა საფრანგეთის ლია პირველობა მოიგო, ბრაზილიელი ჩოგბურთის მომავლად, უცხოელზე პირველ ჩოგნად შერაცხეს, მაგრამ მასშემდეგ წელიწადზე მეტი გავიდა და კოლორიტულ სამხრეთამერიკელს ტურნირი კი არ ჰქონდა მოგებული, კლასიფიკაციაში წინსვლის ნაცვლად კი 28-ედაც დაქვეითებულიყო. თუ გუგას ვენდობით, ეს მასზე დამყარებული იმედების ბრალი იყო. „ჩემებმა ყველა (მათ შორის თავად მეც) მხოლოდ გამარჯვებებს ელოდა, ამიტომ როდესაც სამქეები კარგად არ მიმდოდა, ძალიან ენერვიულობდა, რომ სხვებს იმედებს ვუცრუებდა.“

კვირას კუერტენმა, როგორც იქნა, თავი დააღწია დათარსულ წრეს და კარიერის მეორე ტიტული მიითვალა, რასაც უმეტესწილად თავის ტყვეისავით ბექტენდს უნდა უმადლოდეს, ავერ უკვე ერთი წელია, სამხრეთაფრიკელი რომ ჰქონდა, გამარჯვებისთვის გუგას 157 ათასი დოლარიც ერგო და 61-ათასდოლარიანი „მერსედესი“, თუმცა თავისი ბებიის, ოლგას სამწუხაროდ, რომელიც მამინე წინა საკარძელზე მოკალათდა, კუერტენმა ეს ძვირფასი საჩუქარი მწერტინელ ლარი პასოსს გადაუღოცა: „ვიცი, რომ დღეაღმოს და ბებიამეს ძალიან ენდობებოდათ, მაგრამ მანქანას, ალბათ, მაინც ლარის მივეცე.“

ვაშინგტონი. აშშ. ლევ მესონტენის კლასიკი. პარდი. საპრიზო 700 ათასი \$

მეოთხედფინალი: მაიკლ ჩანგი (1, აშშ) — ჯი პორი (7, აშშ) 6:3, 6:4; ანდრე აგასი (2, აშშ) — სებასტიან ლარი (კანადა) 6:1, 6:2; უფინ ფერერა (3, საზრეთ აფრიკა) — ვინსენტ სპედვა (6, აშშ) 6:4, 6:7 (3:7), 6:4; სკოტ დრე-

შედეგების თასი

მეორე რაუნდი

მსაბამი 4:1 ბარბანია

სლოვაკეთი 4:1 ბელგია

სოვბაბია 3:2 პოლანდია

1 ლიგაში გადასასვლელი მატჩები

ავსტრია 5:0 პოლონეთი

სამხრეთი კორეა 4:1 იაპონია

ავსტრალია 5:0 არგენტინა

ბელარუსი 4:1 ვენესუელა

უმაღლესი ლიგაში გადასასვლელი მატჩები:

ჩანგითი 1:4 იტალია

რუსეთი 4:1 ბარბანია

სლოვაკეთი 4:1 ბელგია

სოვბაბია 3:2 პოლანდია

1 ლიგაში გადასასვლელი მატჩები

ავსტრია 5:0 პოლონეთი

სამხრეთი კორეა 4:1 იაპონია

ავსტრალია 5:0 არგენტინა

ბელარუსი 4:1 ვენესუელა

იბერი (14, ავსტრალია) — ფილიპ დე ვულფი (5, ბელგია); 6:3, 6:2; ნახევარფინალი: კუერტენი — კუერა 4:6, 6:2, 6:4; დრეიბერი — ჩანგი — ტრავმა.

ანდრე აგასი თავის საყვარელ საფარზე — პარდი ისევ აღიდგინა ფორმა და თიხნარ-ბალახის სეზონების იმედგაცრუებების შემდეგ მორიგ, სეზონის მეექვსე ფინალში შეაბიჯა. სამხრეთაფრიკელ უფინ ფერერას თავზოტორა ამერიკელთან აქამდე ექვსივე პირადი შეხვედრა და 17-დან 16 სეტი წაგვო, მაგრამ 43 წუთში 6:1, 6:0 განადგურებას თავად აგასიც არ ელოდა: „ეს ანგარიში ჩემს კარგ თამაშზე კი არა, მის საშინელ მდგომარეობაზე უფრო მიანიშნებს“, თუმცა ანდრე ასეთი მოკლე შეხვედრით დაზარალებულ ქომაგების ერთი სამსახური მაინც გაუწია — ტურნირის ორგანიზატორები თურმე სეტის მშრალად მოგების შემთხვევაში მაყურებლებს კომპენსაციას შეპირებოდნენ.

ფინალს აგასი — ჩანგის მატჩი კი დაამშვენებდა, მაგრამ ჩინური წარმოშობის ამერიკელმა წინა დღეს მაჯის ტრავმა მიიღო და თამაშის ნაცვლად ლოს ანჯელესში ექიმთან გაფრენა მოუხდა.

ფინალი: აგასი — დრეიბერი 6:2, 6:0.

აგასის ფინალამდე საკუთარი მოწოდება ერთადერთხელ წაგვო და წინაოთხ მატჩზე საშუალოდ 62 წუთი დაეხარჯა, ამიტომ წინასწარ დამინებულმა ოზმა დრეიბერმა მატჩის წინ ისლა განაცხადა, თუ ანდრეს კორტზე ერთ საათზე მეტს გაუშვლებ, ჩავთვლი, რომ ჩემსას მივაღწიე.

მაგრამ ავსტრალიელს თავისი ამოცანა-მაქსიმუმის განხორციელება არ ეწერა: ანდრემ მორიგი მეტოქის დამარცხებას მხოლოდ 50 წუთი დაახარჯა, დრეიბერი კი შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. „როდესაც ისე ვითამაშებ, როგორც დღეს, ჩემს ოპონენტს ორი არჩევანი აქვს — ან დაუსრულებლად ირბინოს, ან რისკიანი დარტყმებით გავიდეს ფრის შემტეობა მეორეს არჩევს, ამიტომ შეცდომებიც ბევრი მოსდის“ — ახსნა ანდრემ, რომელმაც „ლევ მესონი“ მეოთხედ მოიგო და 95 ათასი დოლარიც ჩაიგება.

გული მაინცდამაინც არც დრეიბერს დაწყებულა, იმ ჩოგბურთელთან წავაგე, ვინც ამ ფორმაში თანამედროვეობის საუკეთესო მოთამაშე მიმაჩნია.

აშშ-ში სპონსორი

სარკიელი

სპორტული გაზეთი
გამოცემა: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი

ზურაბ შოთაშვილი

რედაქტორი

თამაზ მიხრაიშვილი

ტექნიკური რედაქტორი

გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ილია ბაბუნაშვილი

პასტახან ბუნიკაძე

ფეხბურთის განყოფილება:

ლაშა გოლუაძე, პაატა თოთაძე,

კობა ინასარიძე, მამუკა კონტაბლი-

ანი, დავით კოვზირიძე, იოსებ შინ-

ჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე

სხვა სახეობათა განყოფილება:

გიორგი ახვლედიანი, გიორგი ბიკა-

შვილი, ავთანდილ გურასაშვილი,

სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ

სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში

იუზა კაციტაძე

ფოტორეპორტიორები:

გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი

კეთილაძე

სტილისტები:

მაია აბუნიძე ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:

ელენე გელუტაშვილი, ნინო დე-

ვაძე, სვეტა დევაძე, დავით ნადი-

რაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი

ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი